სახალხო ფურცელი

№ 799 კვირა 19 თებერვალი 1917 წ. № 799

ანცხადების ფასი:

ჩვეულებრივ სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კაპ., უკანასკნელზე—20 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—40 კ., უკან—20 კაპ. ასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული 15×2 ღირს 6 მან., 20×2 ღირს 8 მან., 25×2 ღირს 1ან. 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება ამბა „ქართლში“ პუშკინისა და ლორის-მელიქოვის ქუჩ სახლი ძველი სასულიერო სემინარიისა და ეღირება ერთი-ნვთით მეტი,

ყველა განცდება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: **Тифлисъ „Сахалхо Пурцели“, поч. ящ. 190.**

დავით, ივანე, ალიოშა, პატიკო, ქაქუჩა ნიკიფორეს ძენი და მარუსია ნიკიფორეს ასული თაყაიშვილები, ციბულია დათუნაიშვილისა, ელისაბედ პაპიხოვისა და ილიკო თაყაიშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოდ გარდაცვალებას 14 ამა თებერვალს, პირველთა საყვარელი დედისა და უკანასკნელი რძლის

ანეტა ადმისალ მიქელაძის ასული თაყაიშვილისას

დაკრძალვა მოხდება დღეს კვირას 19 თებერვალს ნაშუადღევის 4 საათზე ქ. ქუთაისში, მწვანე ყვავილის სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან პოლიციის ქ., ქვარიანის შესახვევი, სახლი ცირეკიძისა.

ალექსანდრე იაკობის ძე და შვილები მისი: მარგალიტა, გრიგოლი, არტაშ, ხარჯის და თამარა კუზანოვები; ქალია ვართანის ასული და დავით ივანეს ძე კაზაროვები მწუხარებით აუწყებენ ნათესთავთა და ნაცნობთ: პირველნი ორი უსაყვარლესი მეუღლის და დედის, მხოლოდ უკანასკნელი ორნი დაუვიწყარ შვილის და დის

ოლღა კუზანოვის

გარდაცვალებას. დასაფლავება კვირას 19 თებერვალს დილით 10 ს. მისამართი: ელიზავეტოპოლის ქუჩა № 9, ავლაბარში. 206

ღრმად დამწუხრებულნი დედა ნინო ანდრიას ასული, ძმა გასო გრიგოლის ძე, და ლუბა გრიგოლის ასული და რძალი სოფიო რომანოზის ასული ღლონტები, სიძე ლუკა და და მარიამ ებრალიძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ დაკარგვას

სონა (სოფიო) გრიგოლის ასული ღლონტისა

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას 19 თებერვალს დილის 9 ს. გამოასვენებენ თავის საკუთარ სახლიდან ნადირიოვკა, ჩერპიჩნი ქ № 1. გაასვენებენ ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში და იქიდან წმ. ნინოს სასაფლაოზე. 210

დედა ქალოჯან, დები მართა და ელპიტი, ძმა და რძალი ივანე და ელისაბედ ძიძიშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ 15 თებერვალს ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა

ადამ გაბრიელის ძე ძიძიშვილი

მიცვალებულს გამოასვენებენ დღეს 19 თებერვალს წირვის შემდეგ დილის 11 საათზე საავადმყოფოს ეკლესიიდან (დიდიმთავრის ქუჩა), დაასაფლავებენ კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 221

ღრმად დამწუხრებული მშობლები მღვ. გაიოზ და მარიამ მალრაძენი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ სამშაბათს 21 თებერვალს გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი ალექსანდროპოლის ლაზარეთში გარდაცვლის

დავით (დათიკო) მალრაძის

სულის მოსახსენებლად დ. ყვრილის წმ. ნინოს ეკლესიაში.

დღეს, 19 თებერვალს, პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია წელიწად-ნახევრის თავზე წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის, ტფილისის მეხუთე გიმნაზიის მოწაფის

დიმიტრი (მიტუშა) ივანეს ძის მიქაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობრებს ღრმად დამწუხრებულნი მშობლები იუდითი მახარობელის ასული და ივანე როსტომის ძე მიქაძენი და შვილები მათი მარიამ, თამარა, ნინო, ელენე, ნიკოლოზ და გიორგი. წირვა დაიწყება 10 საათზე. 201

ეკატერინე მიხეილის ასული ტატიშვილისა შვილებითურთ, ნინო ბეჟანის ასული ყიფიანისა, გიორგი ბეჟანის ძე ტატიშვილი და კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობრებს პირველი—თავის მეუღლის, მეორე და მესამე თავის ძმის და მეოთხე—ცოლის ძმის

ნიკოლოზ ბეჟანის ძე ტატიშვილის

გარდაცვალებას დ. ქობულეთში ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობისაგან. მოსვენება ტფილისს და დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1063

ახალ კლუბის დარბაზში,

კვირას, 19 თებერვალს, დილის 10 ს., დანიშნულია

ქ. შ. წ.-კითხვ. გამავრც. ტფილისის განყოფილების წევრთა საორგანიზაციო საზოგადო კრება

განსახილველი საგნები: 1. ახალ წევრთა მიღება, 2. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები.

ვისაც წაღებული აქვს საკვიტანციო წიგნაკები, აუცილებლად უნდა წარმოადგინონ წ.-კ. გ. საზ. კანცელარიაში დღეს, შაბათს, 18 თებერ. დღის 3 ს.-დე. 1056

კრების დღეს წევრთა ჩაწერვა და მიღება არ იქნება.

განცხადება.

ახალ კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს კლუბის წევრთა, რომ ნაცვლად 8 ამა თებერვლისა,

წლიური საზოგადო კრება

დაინიშნა ამავე თებერვლის 22-ს საღ. 9 საათისთვის.

კლუბის წესდების მე-29 მუხლის თანახმად, კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

განსახილველი საგნებია: 1. მიმდინარე საკითხები, 2. წესდების რამდენიმე მუხლის შეცვლის შესახებ, 3. განხილვა და ამტკიცება 1916 წლის ანგარიშისა, 4. განხილვა და დამტკიცება 1917 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისა და 5. არჩევნები მამასახლისთა, მი კანდიდატებისა, სარევიზიო კომისიის წევრებისა და კლუბის წევრთა დ მუდმივ მოსიარულეთა. 1001

ახალი კლუბი

ერთი კვირის პროგრამა 1917 წ.

ორშაბათი:
სინემატოგრაფი
სიმებიანი ორკესტრი

სამშაბათი:
ოპერეტკა
ბილეთების ფ. 8 მან. 1 მან.

ოთხშაბათი:
სინემატოგრაფი
სიმებიანი ორკესტრი

ხუთშაბათი:
ქართ. წარმოდგენა

პარასკევი:
სინემატოგრაფი
სიმებიანი ორკესტრი

შაბათი:
რუს. წარმოდგენა

კვირა:
დილით მუზიკალური დილა ქართულ ფილანტრ საზოგადოებისა.
საღამოთი. ოპერეტკა.

დასაწყისი კონცერტებისა საღ. 9 ს. სპექტაკლებისა დ სინემატოგრაფებისა $8^{1}/_{2}$ ს., სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელ ფასს: კაცები 1 მ., მანდილოსნები და სტუდენ. (ფორმაში) 50 კ. 1001

საჭირო ბინები

[illegible]-სამკითხველოებისთვის, ავლაბარში კახეთის მოედნის რაიონში 2—[illegible] ოთახიანი და ვერაზე 1—2 ოთახიანი თავის მოწყობილობით.

მისამართი: საქალაქო წიგნთსაცავი პუშკინისა. გამგე-ქალს. 213

პროპკებს

მყიდი სხვა და სორტისას,

მინერალურ წყალისა და ლუდისათვის.

იკითხეთ სოლოლაკში, სერგიევის ქუჩა, № 14 ეზოში მეეზოვეს. 220

ახალი დიდი **ცირკი** ახალი დიდი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთარი, ახლად შეკეთებ. კაპიტალური **ხაზამთრო შენობა**, ტელეფ. 19.00

ორშაბათს, 20 და სამშაბათს 21 თებერვალს,

გაიმართება

ორი დიდი წარმოდგენა

საღამო განუწყვეტელის გართობისა. დღეს პირველი გასტროლი თავის დარგში ერთად-ერთი სახელგანთქმულ არტისტების ბ. ბ. კლემენტოსხებისა პირველად ტფილისში დიდი ფეერია **ციცინათელები**, საკუთარი სახელოსნოს კოსტიუმები. 1 დებიუტი უშიშარ მოჯირითის ჩერნოგორელ ქალის **M-lle** ანნეტისა დღეს მხოლოდ ორი ფენომენალური გასტროლი **მაქმანებულ კაცისა** ადამიანი ტიკინა, მე-XX ს. საკვირველება.

პირველი გასტროლი კოხტა მსახიობის გიმნასტ **Ma-lle** ბიანკისა. აგრეთვე მონაწილეობენ **მფრინავი ადამიანი**. 4 ვარსკვლავი პარიზისა, იტალიელთა დასი ბრუნო პაპინისა. სასიამოვნო ნომრები, კლოუნები და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

ანონსი: ოთხშაბათს, 22 თებერვალს გაიმართება გაუგონარი ბენეფისი რუსეთის საუკეთესო კლოუნის ბ. ალექსისა თავის გაწვრთნილ ცხოველებით. პირველად მაიმუნები და თაგვები და ბევრი სხვა. **წაიკითხეთ აფიშები.**

ქუთაისში

ექიმი

მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9—1 ს., საღამოს 5—8 ს. ტფილისის ქუჩა, გოკიელოვის სახლი. 105

ექიმი

ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს ახალ ბინაზე, საღამოს 6—7 საათამდე, კვირა დღის გარდა.

ვერის მოედანი, ექიმი სობესტიანსკის სახლი. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. ტელეფონი 5—54. 1144

ექიმი

ვ. მუსხელიშვილი

იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი

თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათ. მისამართი კიროჩნი ქ. 18. ტელეფ. 11-82

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1060

ექიმმა

ფავლენიშვილმა

განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე მუხრანის და ბაგრატიონის ქუჩისა № 23/31.

ექიმი ქალი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 საათ. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 კირპიჩნი ქუჩის შესახვევის 31

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

გ. გ. მეჰრაბიანცი

შინაგან ავადმყოფობა—[illegible] გულისა. ახალი რენტგენ-ელექტრ. კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, აგრეთვე ყოველგვარი **ფიზიოთერაპიით** და ელექტრონით. თავის დუში ვენის ტიპისა, დიდი სოლონოიდი, **განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, არტერიოსკლეროზის,** თირკმლების და ღვიძლის სნეულებ. სისხლის ნაკლებობისა, უძილობისა, ხერხემლისა სისუსტის, ასთმისა, ბუასილის და რევმატიზმის დროს. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღ. 5—7 ს., **ბებუთოვის ქ., № 28, ტელეფ. № 7—92** 968

ექიმი

ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საბებიოდ საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი: პეტროგრადის ქ. № 7.

ექიმი ქალი

ს. ზ. მირზოევა

[illegible]

სერგიევის ქუჩა, № 1

ტელეფონი, № 16—67 9140

ექიმი

ზ. ა. მიქელაძე

მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 171.

ექიმი

მ. დ. წინამძღვარიშვილი

ყოფილი ორდინატორი თერაპევტიულ კლინიკებისა, ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტისა. შინაგანი სნეულებანი. **გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად.** იღებს საღ. 5—7 ს.-დე, ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ., № 36, მეორე სართული. 1061

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფს საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა.

მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანიშვილისა. ტელეფ. 5—77. 1059

ექიმი

კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა № 4. სასტუმრო ვეტცელის გვერდით ტელეფ. 15—00. 1271

ექიმი

ზ. გ. ნარიმანოვი

ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე საღ. $5^{1}/_{2}$ ს.-დან 8 ს.-მდე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. 16—17. 457

საექიმო კაბინეტი ექიმ

პ. ს. ფონ-ირტელისა

სპეციალისტი ქირურ., საშარდე-საშვილ., სიფილისის, ვენერიული და კანის (გასივება, ბუასილი, უკაცობა, შედეგი ონანიზ. და სიფილ., თირკმელების ავადმყ.), **წამლობა სიფლისისა ერლიხის პრეპარ. „914“ და „606“** და ელექტრონით. ორივე სქესის ავადმყოფებს იღებს 9—12 ს. და საღ. 4—8 ს. მიხეილის ქ. 128 შესაგ. კრილ. ქ. 1, მეორე კარი. 1352

ტფილისი, 19 თებერვალი, 1917 წ.

წერა-კითხვის საზოგადოების არჩევნები.

დღეს ახალ კლუბის დარბაზში მოხდება დამფუძნებელი კრება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ტფილისის განყოფილებისა. კრება მეორედ არის დანიშნული, გასულ კვირას თავად-აზნაურობის ბანკის დარბაზმა ვერ დაიტია მოზღვავებული ხალხი და დამფუძნებელნი იძულებულნი გახდნენ უფრო დიდ დარბაზისათვის კრება გადაედოთ.

ოცდა-თექვსმეტი წლის განმავლობაში წერა-კითხვის საზოგადოებას არ ახსოვს ქართველობის ასეთი გატაცება თავის ეროვნულ საქმითა და დაწესებულებით. ერთხელ პაწია და თითქმის უხალისო საზოგადოება, დღეს ეროვნულ ცხოვრების ძარღვად არის გადაქცეული და ყოველ ქართველის ყურადღებას—განურჩეველად რწმენისა და სქესისა—იტაცებს. გავიზარდეთ ეროვნულად, დავვაჟკაცდით, მოვმწიფდით, ამიერიდან ველარ გაგვტეხს უცხოელთა მოუხეშავი ძალა. მაგრამ თუ აგრე რიგად დაგვატკბო და გონება გაგვიხსნა უხუცესმა ეროვნულმა დაწესებულებამ, თანამედროვე გართულებული ცხოვრება არა ნაკლებ სიმხნევეს მოითხოვს ჩვენგან, რომ შთამომავლობას კიდევ უფრო გაძლიერებული, გასხივოსნებული და გამდიდრებული დაწესებულება გადავსცეთ.

თვით ის გარემოება, რომ მოვახდინეთ რეორგანიზაცია ჩვენი ძვირფასი დაწესებულებისა, იმ ფაქტს გვიმოწმებს, რომ ეხლანდელი მომენტი მოითხოვს გაცილებით მეტ შრომას, ჯაფას, ენერგიას, ვიდრე წინანდელი ხანა და ადგილობრივ დაწესებულებათა ინსტიტუტის შექმნით მოვინდომეთ მეტი დამოუკიდებლობის გამოჩენა თვითმოქმედების გასაძლიერებლად.

საბედნიეროდ, ქართველობის დღევანდელი ცხოვრება ხელს უწყობს წერა-კითხვის საზოგადოებას მომავალში ნაყოფიერი მუშაობა გააჩაღოს, საჭირო აღარ არის სხვა და სხვა საქმეებს მიჰყოს ხელი და მით მოღვაწეთა ენერგია დაქსაქსოს. თვით სფერო წერა-კითხვისა, კულტურის გავრცელებისა, სახელმძღვანელოების და სხვა ხასიათის წიგნების გამოცემისა, წიგნთ-საცავ-სამკითხველოების დაარსება, კურსების, ლექციებისა და კულტურულ გასართობების, ბაღების, სკოლების თუ სხვა და სხვა სანახაობის მოწყობა ისე რთულია და ფართო, რომ სხვა დარგის მუშაობის დაწყება წერა-კითხვის საზოგადოების მოღვაწეთ მხოლოდ ხელს შეუშლიდა. ქართული წერა-კითხვა, ქართული ენა და აზროვნება განსაკუთრებულ, სპეციალურ ხასიათის მოღვაწეობას და ბრძოლას მოითხოვს. ვცხოვრობთ ისეთ ხანაში, როდესაც დიდი ერების იმპერიალიზმი სპობს პატარა ერების კულტურას. ნაციონალისტურ ტალღის ატანა შეუძლებელია ადვილად, დიდი სიმხნე და სიყოჩაღე უნდა გამოვიჩინოთ და ეროვნული დაწესებულება მიგვაჩნდეს ქურა, სადაც შეიძლება საღ ეროვნულ მიმართულების გამოწრთობა, გამოჭედვა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ისეთივე სავანეა ერისა, როგორც ენაა ერის საუნჯე. მთელი ჩვენი სიმდიდრე თუ სიღარიბე, ძლიერება თუ სისუსტე წერა-კითხვის საზოგადოებაშია გამოხატული, ის ნამდვილი სარკეა საქართველოს კულტურულ ძალისა და აღტყინებისა.

ასეთ დაწესებულების დამფუძნებელი კრებაა დღეს ახალ კლუბში დანიშნული. ყოველი ქართველი მამულიშვილი ეროვნულ მოვალეობად ჩასთვლის გამგეობის არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს, რათა არჩეული გამგეობა ღირსეული გამომხატველი იყოს იმ ძვირფას გრძნობისა, რომელსაც ეროვნული კულტურა ეწოდება.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ერთი ისეთი დაწესებულებაა, რომელსაც სრულის მიუდგომ-

11 თებერვალს, დილის 8 საათზე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, ქალაქ ქუთაისში გარდაიცვალა დეკანოზი,

სამსონ სპირიდონის ძე
ლანდია,

მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: **მეუღლე ელისაბედი ილიას ასული ლანდიასი; შვილებით: ვარლამი, პლატონი, ალექსანდრე, დავითი, ვლადიმერი, მიხეილი და ქალიშვილები: ვალენტინა და ოლღა; სიძე—მინა ექვთიმეს ძე ჯავარიძე.** პანაშვიდები იქნება ყოველ საღამოს ექვსი საათიდან მიხეილის ქუჩაზე, ყოფილი საავადმყოფო ბოკერიასი. გასვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

11 თებერვალს დილის ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში გარდ. დეკანოზი.

სამსონ სპირიდონის ძე
ლანდია,

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: **რძალი ივლიტე ხოლომონის ასული ლანდიასი, ძმის წულები; გიორგი, ლადიმერი, დავითი, ივინე, სოფიო, ნინა, ბარბარე, მარიამი, ელენე და სიძე—თედორე ყარამანის ძე საგანელიძე.** პანაშვიდები ყოველ საღამო ექვსი საათიდან მიხეილის ქუჩაზედ, ყოფილი საავადმყოფო ბოკერიასი.

ლობით უნდა შევეხოთ. რაკი ის წმინდა **ეროვნული** დაწესებულებაა, იგი უნდა გამოხატავდეს არა ჰიდილს პარტიათა და ვიწრო ჯგუფთა, არამედ მთლიან ეროვნულ სხეულს, რომლის ყოველ ნაწილისათვის ერის ატრიბუტი—ენა, ზნე-ჩვეულება, კულტურა ერთნაირად ძვირფასია. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული, მამულისშვილური—ამ სიტყვის ნამდვილი და პირდაპირი მნიშვნელობით—და არა ჯგუფური და პარტიული. ჩვენი საზოგადოების ნაწილები მოწამლული არიან სექტანტური გრძნობებით, მაგრამ თავიდან მოვიშოროთ სულიერი სიმდაბლე და სექტანტობას თავს ნუ მოვახვევთ უდიდეს ეროვნულ საქმეს, რომელიც ბუნებითად ვერ აიტანს ასეთ მოვლენას. მივიდეთ საარჩევნო ყუთებთან, მაგრამ ერთი რწმენით ვიყოთ შებოჭვილნი: გამგეობაში გავიყვანოთ ღირსეულნი მამულისშვილნი, მომზადებულნი მოქალაქენი, მხნე და ენერგიული მოღვაწენი.

ომის გარშემო

ომის დღიური

აშკარად სჩანს, რომ მებრძოლნი გაზაფხულის დიდ გადამწყვეტ მნიშვნელობის ბრძოლისათვის ემზადებიან. ცხადია, რომ მომავალი გაზაფხული დიდს ამბებს გვიქადის და საშინელი ომის შედეგი ცოტად თუ ბევრად გამორკვევა. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ყველა ცდილობს განსჭვრიტოს მომავალი და ყოველგვარი შესაძლებლობა გამოიცნოს. დაჟინებით ლაპარაკობდნენ ბოლო დროს, რომ გერმანელები ბელგიაში აგროვებენ დიდს ჯარს და ჩრდილოეთ საფრანგეთში დიდს შეტევას ამზადებენ პარიზის მიმართულებით. ცნობები იყო, რომ ინგლისის უკანასკნელ შეტევის გამო, გერმანელები იძულებულნი გახდნენ ალზასში დაგროვილი ჯარი ჩრდილოეთ ჩაფრანგეთში გაეგზავნათო. ჰოლანდიის პრესა თითქოს ფარდასა ხდის საიდუმლოებას. მისი აზრით, მართალია გერმანიამ ბელგია-ჰოლანდიის საზღვარი ჩაჰკეტა, მაგრამ ეს ზომა ჯარის კონცენტრაციის დაფარვისთვის არ არის მიღებული და ჰოლანდიელებს არა სჯერათ, რომ გერმანია ნამდვილად ჩრდილოეთ საფრანგეთში აპირებს ფართო შეტევის დაწყებას, არამედ სხვა რომელიღაც მიმართულებით ემზადება ასეთ ოპერაციისათვის. ჩვენთვის გასაკვირველი ის არის მხოლოდ, რომ [illegible] წმუნებულია, მოქმედების ინიციატივა უსათუოდ გერმანიას ექნება და სწორედ გერმანია იწყებს შეტევას. თითქმის კონტს არავინა სძრავს იმაზე, რომ შეიძლება ინიციატივა გამოიჩინოს ოთხთა შეთანხმებამ და მან პირველმა მედგრად შეუტიოს გერმანიას. პირიქით სულ ბოლო დროს საფრანგეთის პრესაში ცხარე კამათი გაიმართა იმის თაობაზე, თუ რა უფრო სასარგებლო იქნება მოკავშირეთათვის: ინიციატივა შეტევისა დაუთმონ გერმანიას და პირველში მოგერიებითი ბრძოლას დაადგნენ, თუ პირიქით, დაასწრონ გერმანიას, ინიციატივა ხელთ იგდონ და შეერთებულძალით პირველად თვითონ შეუტიონ. უმრავლესობა აშკარად პირველი აზრის მომხრე აღმოჩნდა და აწინდელმოქმედება მოკავშირეებისა გვიმტკიცებს, რომ მართველი წრეებიც იგი აზრისანი არიან.

საზოგადოდ, სტრატეგია განსაკუთრებულ ფასს აძლევს ინიციატივას და თანამედროვე ომმაც ცხადადაგვიმტკიცა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ინიციატივას და თუ ეს მოკავშირენი ამ შემთხვევაში უპირატესობას მოპირდაპირეს უთმობენ უნდა ვიფიქროთ, რომ ფართო შეტევისათვის ჯერ საკმაოდ მომზადებულნი არ არიან; ან და დარწმუნებულნი არიან, რომ გერმანიას ომის რესურსი იმდენად შემოაკლდა, რომ დიდს ხანგრძლივ შეტევითი ოპერაცია ვერ აწარმოებს და ბოლოს და ბოლოს იძულებული იქნება მოგერიებაზე გადავიდეს, რაიც მისთვის მეტად რასასურველი იქნება.

რასაკვირველია, ყველაფერი მაზედაა დამოკიდებული სად, რომელ მიმართულებით და რაოდენი ძალი გააჩაღებს გერმანია შეტევას და ამიტომ ადვილი ასახსნელია, რომ ყველა ცდილობს ამ გამოცანის „გამოცნობას“.

გე—გა—ლ.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი, 17 თებერვალი. ოფიციალური. დასავლეთის ასპარეზი. სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

რუმინიის ბრძოლის პირი. იაკობენიკიმპოლუნგის შოსეს ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება. გერმანელებმა კონტრ-იერიში მიიტანეს რუმინელებზე, რომელთაც დაკავებული ჰქონდათ წინა დღით სიმაღლე სოფ. რეკოსთან, მდ. ზავალის ჩრდილოეთით და აიძულეს რუმინელები დაეტოვებინათ იგი. მდ. რიმნიკის ჩრდილოეთით ჩვენმა მზვერავებმა აღმოაჩინა მტერი, დაატყვევა 23 კაცი და წამოიღო 2 ტყვიის მფრქვეველი.

კავკასიის ბრძოლის პირი. სროლა გრძელდება. ამ სროლის დროს დაიჭრა პოლკის უფროსი გმირი [illegible]

დასავლეთის ასპარეზი

პარიზი, 16 თებერვალი. დღის ცნობა. მეტცერალის დასავლეთს რაიონში და არგონებში წუხელის პატრულების შეტაკება იყო. ჩვენ ტყვეები წამოვიყვანეთ. რამდენსამე პუნქტში, მაგალითად უაზისა და ენის შუა, შამპანში—საარტილერიო ბრძოლაა.

პარიზი. საღამოს ცნობა. ჩვენ უეცრად თავს დავესხით შამპანში გერმანელების თხრილებს და ტყვეები ჩავიგდეთ ხელთ. შამბრეტ-ბეზანვოს ფრონტზე გაცხარებული საარტილერიო სროლაა. ბრძოლის დანარჩენ ასპარეზზე ღამემ შედარებით მშვიდად ჩაიარა.

ლონდონი. ოფიციალური ცნობა ბრიტანიის მთავარ-შტაბისა საფრანგეთში. დღეს დილით ჩვენ თავს დავესხით გერმანელების თხრილებს საიზელის ჩრდილო-დასავლეთით და ტყვედ ჩავიგდეთ 85 კაცი. ჩვენი წინ-სვლა ანკრის ჩრდილოეთით და სამხრეთით გრძელდება. წუხელის ჩვენ დავიჭირეთ პომეკური. დღეს ჩვენ დავიჭირეთ სოფ. მილუა, პუიზომოონი. გუშინ უეცრად თავს დავესხით გერმანელებს და 22 კაცი დავატყვევეთ. არმანტიერის ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელები ცდილობდნენ იერიშის მოტანას, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

ლონდონი. მესოპოტამიის ჯარის უფროსისაგან. 14 თებერვლის განმავლობაში ინგლისელთა კავალერია და ნაღმოსნები ძლეულ მტრის დევნას განაგრძობდნენ. ხელთ ჩავიგდეთ მრავალი ტყვე, 5 ზარბაზანი, 8 ნაღმის სასროლი და სხვ. აგრეთვე მრავალი საომარი მოწყობილება ჩაგვივარდა ხელთ.

გერმანია და ამერიკა.

ვაშინგტონი. გერმანიამ აცნობა ამერიკას: თქვენს ოთხ კონსულს დავიჭერ იქამდე, ვიდრე ცნობას არ მივიღებ ოფიციალურად, რომ ჩემს კონსულებს ნება მიეცა წამოსვლისაო.

საბერძნეთი და მოკავშირენი.

სოლუნი. ტყუილია საბერძნეთის მთავრობის მიერ ქუჩებში გაკრული ცნობა, ვითომ მოკავშირეთა მოთხოვნილებანი შეესრულებინოს და ჯარი დანიშნულ ადგილას გადაესხას.

მოკავშირეთა წარმომადგენლებმა პროტესტი განაცხადეს ბერძნულ გაზეთების წინააღმდეგ, რომელნიც ცილისწამებისა და ათასგვარ ჭორებს ავრცელებენ მოკავშირეთა შესახებ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბულგარელების შეტევა.

იასიდან „რანეე უტროს“ ატყობინებენ: ცნობებია მიღებული, რომ ბულგარელები ფართო შეტევისათვის ემზადებიან მონასტირის წინააღმდეგ. რა წამს მოთბება, დაიწყებენ მოქმედებას.

ინდოეთის დამცველი ჯარი.

ინდოეთის ჯარის მთავარ სარდალს პროექტი შეუტანია პარლამენტში ინდოეთის დაცვის ორგანიზაციისა. პროექტით მუდმივ ჯარში ჩაირიცხებიან ყველა ინდოეთში მცხოვრები ინგლისელი 17—50 წლისა და აგილობრივი მკვიდრი 41 წლამდე. ეს ჯარი იმსახურებს ინდოეთის ყველა გარნიზონებში და მიღებული იქნება ზომები, რომ ყველამ თავის სამშობლოში იმსახუროს.

გერმანია და სეპარატიული ზავი.

ტოკიოს გაზეთს „ნიცი ნიცის“ ამერიკიდან ცნობა მიუღია, რომ გერმანია ცდილობს სეპარატიული ზავი შეჰკრას რუსეთთან და შემდეგ გერმანიასა, რუსეთსა და იაპონიას შორის კავშირი შექმნას ინგლისისა და ამერიკის წინააღმდეგ. გაზეთი ამბობს, რომ ამ ხმებს გერმანიის აგენტები ავრცელებენ, რათა ამერიკა აიძულონ გერმანიას მიემხროს და აგრეთვე ჩინეთის გამოსვლა თავიდან აიცილონ.

ამერიკა და გერმანია.

ბერლინის გაზეთების აზრით, იმედი აღარაა, რომ გერმანიისა და შეერთებულ შტატებს შორის მომხდარი კონფლიქტი მშვიდობიანად დამთავრდეს.

მართალია ხალხში ხმა გავრცელდა ბოლო დროს, მოგომარეობა გაუმჯობესდაო, მაგრამ „ტაიმსის“ ცნობით ამერიკის მთავრობის ოფიციალურად განუცხადებია, რომ საქმის ოდნავადაც კი გამოკეთება არ შეიძლება, თუ წყალქვეშა ბრძოლა გაგრძელდაო.

ბაღდადის საფრთხე.

ოსმალეთის მთავრობამ გერმანიის მთავარ შტაბს მიუთითა იმ საფრთხეზე, რომელიც ბაღდადს მოელის ინგლისელების შეტევის გამო და განაცხადა, რომ მესოპოტამიაში მომქმედი ოსმალეთის ჯარი საკმარისი არ არის ბაღდადის დაცვისათვის. ამიტომ ოსმალეთის მთავრობა დაჟინებით მოითხოვს იმ ჯარის დაბრუნებას, რომელიც ევროპაშია წაყვანილი.

ნეიტრალიტეტის ახალი თეორია.

ჟენევიდან „რანეე უტროს“ ატყობინებენ; შვეიცარიულ პრესაში დიდი აღშფოთება გამოიწვია ბერლინის გაზეთ „ვოშე“-ში მოთავსებულმა იოჰან ჰარნიშის წერილმა. ავტორის აზრით, ნეიტრალიტეტი დარღვეულად არ ჩაითვლება მხოლოდ იმ ფაქტით, რომ ნეიტრალურ სახელმწიფოს ტერიტორიაზე სხვა შემოვიდა, იმ დრომდე, ვიდრე შემოსულს ნეიტრალურ სახელმწიფოსთან ომი არ მოუხდება. „ნეი ციურიხერ ცაიტუნგის“ აზრით, ყველა ნეიტრალური სახელმწიფო წინ უნდა აღუდგეს ნეიტრალიტეტის ასეთ უცნაურ თეორიას. სამწუხაროა, რომ ასეთი თეორია მაშინ იბადება, როდესაც ნეიტრალურ სახელმწიფოთა სიმპატიას ყველა ეძებს. შვეიცარიის თითქმის ყველა გაზეთი პროტესტს აცხადებენ ახალ თეორიის წინააღმდეგ.

[illegible]

„რეჩს“ ატყობინებენ: გრაფ რევენტლოვმა 9 თებერვალს საჯარო ლექცია წაიკითხა ომის მიზნებზე. მან გამოუცხადა კაიზერს, ტირპიცის, ჰინდენბურგს და აგრეთვე კანცლერს, რომელმაც „ცოდვა მოინანა“ და პირველებთან ერთად სასტიკი, ულმობელი წყალ-ქვეშ ბრძოლა გამოაცხადა. რევენტლოვმა თავისი პირველი პროგრამა განავითარა: კონტრიბუცია, ლიტვისა და კურლიანდიის შემოერთება, ბელგიის ორ ნაწილად გაყოფა, ე. ი. ვალონის და ფლანდრიის განცალკევება, — ორივე ნაწილი გერმანიის კონტროლის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს. საჭიროა აგრეთვე ყველა საზღვაო გზების თავისუფლება, მხოლოდ არა ისეთი, როგორიც სწამს ინგლისს, არამედ ისეთი, რომელიც გერმანიის ძლიერებაზე იქნება დამყარებული.

მოშხამულ გაზების ხმარება.

გერმანელ ტყვე ოფიცერს ფრანგებისათვის განუცხადებია: მოშხამულ გაზით იერიშს ყოველთვის მხოლოდ კაიზერის განსაკუთრებული ბრძანებით ვაწარმოებთ. ჩვენი ლმობიერი კაიზერი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და ისიც დიდის მწუხარებით მიმართავს ხოლმე ამ ზომას და მიმართავს მხოლოდ იმიტომ, რომ პირველად მოშხამული გაზი ოთხთა შეთანხმებამ იხმარაო.

ფრანგული გაზეთები ამის შესახებ ამბობენ: გერმანელებს სიცრუეში ვერვინ მოელოდა.

ინგლისის მიერ გამოცხადებული ნაოსნობის ახალი წესები.

პარიზიდან „რეჩ“-ს ატყობინებენ, რომ დიპლომატიური წრეები დაინტერესებულნი არიან, როგორ შეხვდებიან ნეიტრალური სახელმწიფონი ინგლისის მიერ გამოცხადებულ ნაოსნობის ახალ წესებს. ახალი წესი რეპრესიაა, წყალქვეშ ბრძოლის წინააღმდეგ მიმართული და მიზნად აქვს გერმანიასთან ვაჭრობის საბოლოოდ მოსპობა. 1915 წელს ინგლისის ამგვარ ზომის წინააღმდეგ ამერიკამ პროტესტი განაცხადა.

ამერიკაში.

პარიზიდან იტყობინებიან, რომ კუნძულ კუბაზე ამბოხება დაიცხრეს. შეერთებულ შტატებმა პასუხი არ გასცეს მექსიკას, იარაღის გატანის აკრძალვის თაობაზე.

წყალქვეშ ბრძოლა.

ინგლისის სააგენტო „ცენტრალ ნიუს“-ის ცნობით ვაშინგტონში ცნობა მიუღია, რომ გერმანიის წყალქვეშა ნავების უფროსებს ნაბრძანები აქვთ, არ ჩაძირონ ამერიკის გემები.

ახალი ამბავი

◆ **წ.-კითხვის საზოგადოების განყოფილების კრება. დღეს ახალ კლუბის დარბაზში გაიმართება წ. კ. საზოგადოების ტფილისის განყოფილების დამფუძნებელი კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები. კრება დაიწყება დილის ათ საათზე.**

იმედია ყოველი წევრი პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას და აუცილებლად დაესწრება კრებას.

◆ **გურია-სამეგრელოს სამღვდელოება და ავტოკეფალიის საკითხი.** ვისწრაფით გავასწოროთ ფაქტიური შეცდომა, რომელიც გაგვეპარა გ. პ. მირიანიშვილის წერილში. ამ თვის

საქართველოს საკითხი

(თვალის გადავლებით)

(შემდეგი *)

საპოლიტიკო იდეალი.

ჩვენ უკვე შევეხეთ მეცხრამეტე საუკუნის მოძრაობას ქართველი ხალხისას. გავიხსენეთ აგრეთვე რუსის პარტიების შეხედულება საქართველოს საკითხსა და რუსეთის მომავალ საპოლიტიკო წესწყობილებაზე. ისიც ვსთქვით, რომ ქართველი ერის პროტესტს, ქართველი ხალხის მოძრაობას უფრო სტიქიური ხასიათი ჰქონდა, გარკვეული საპოლიტიკო მიზნები არასოდეს ჰქონია მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. საქართველოს საპოლიტიკო საკითხის შექმნა და გარკვევა სულ ახალი დროის საქმეა, მეოცე საუკუნის დამდეგისა. ამ საქმეში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას და მისი მეოხებითვე ჰხდება პოპულიარიზაცია საეროვნო მისწრაფებათა. სოციალისტ-ფედერალისტებს დიდი ბრძოლა, დიდი ვაი ვაგლახი გადაჰხდათ, ვიდრე ეროვნულ საკითხს თეორიულად ჩამოყალიბებულ სახეს მისცემდნენ და ქართველს ხალხსაც შეაგნებინებდნენ მის სიდიადეს. და რადგანაც საქართველოს საპოლიტიკო საკითხის ისტორია არის ისტორია სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ჩასახვის, ასპარეზზე გამოსვლის და ზრდა-განვითარებისა—ჩვენც ამ საკითხზე შევჩერდეთ ცოტა ხანს და აღვნიშნოთ ხსენებულ პარტიის წარმოშობის გარეგანი მიზეზები და დრო.

ეს მოხდა 1901 წელს. ამ დროს ქართველმა თავად-აზნაურობამ ქართველი ხალხის სახელით დიდი ზეიმით გადიხადა რუსეთთან „შეერთების“ დღესასწაული. მთელი ერის მაგივრად განაცხადა, რომ საქართველო ბედნიერად სთვლის თავს რუსეთის ხელში, წარსული საუკუნე მიაჩნია თავის აყვავების, მოღონიერების და გაძლიერების საუკუნედ. ეს საოცარი ამბავი იყო, დადასტურება მონობისა და ჩვენ ხელისუფალთა წინაშე მუცელზე ხოხვა. ეს დამცირება იყო ჩვენის სახელისა და სრულიად არ ეთანხმებოდა მდგომარეობას. საჭირო იყო ხმის ამოღება, თქმა იმისი, რომ ყველანი კმაყოფილნი როდი არიან წარსულ საუკუნისა. უნდა აღნიშნულიყო, რომ წარსული საუკუნე იყო ჩვენი დენაციონალიზაციის, დამოუკიდებლობის სრული დახშობის და თითქმის ერთ წერტილზე გაყინვის დრო. უნდა გვეთქვა, რომ სრულიადაც არა ვსთვლიდით ბედნიერად თავს ჩვენთა ბატონთა ხელში და გადახდილი იუბილე სრულიადაც არ შეგვეფერებოდა. ყველაფრის ამის თქმა იყო საჭირო, პროტესტი უნდა განგვეცხადებინა ხალხის სურვილთა გამომხატველის როლის მიმთვისებელთა წინააღმდეგ. და მართლაც ეს საქმე იკისრა ქართველი ინტელიგენციის ერთმა საუკეთესო ნაწილმა. ინტელიგენციის ამ ჯგუფმა, რომელშიაც შედიოდნენ განსვენებული არჩ. ჯორჯაძე, გ. დეკანოზიშვილი, ვ. ლორთქიფანიძე და სხვ. გამოსცა იმ დროს ფურცლები, სადაც დაგმობილი იყო თავად-აზნაურობის ხსენებული საქციელი და პროტესტი იყო გამოცხადებული ჩვენი ხელისუფლების ასის წლის პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს იყო პირველი ნაბიჯი იმ მიმართულებისა, რომელიც შემდეგ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიად გადაიქცა და გარკვეული პროგრამა შეიმუშავა ქართველი ერისათვის.

მაგრამ ეს იყო მხოლოდ პროტესტი და სხვა არაფერი. საჭირო შეიქმნა დადებით პროგრამის შემუშავება, ხალხშა მისი გავრცელება და მის გარშემო მასის გაერთიანება. ყველაფერი ეს იკისრა ჟურნალმა „საქართველომ“, რომელიც გამოდიოდა 1903—1904 წლებში პარიზსა. „საქართველო“ იბეჭდებოდა ორ ენაზე: ფრანგულად და ქართულად. მისი ხელმძღვანელი იყო განსვენებული არჩ. ჯორჯაძე, გ. დეკანოზიშვილი და სხვანი. მის პირველს ნომერშივე დაიბეჭდა: „ღია წერილი რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა მიმართ“. აქ პირველად ნათლად და გარკვევით წამოყენდა ჩვენი საპოლიტიკო იდეალი და შეიქმნა მოძრაობის დროს საგანი დავისა და პარტიულ გაცხარებულ ბრძოლისა. ამ წერილში, სხვათა შორის შემდეგი ეწერა: „ჩვენი სურვილი დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღდგენა არ არის. ნათლად და აშკარად ვამბობთ: ჩვენ პოლიტიკურ სეპარატიზმის მომხრენი არა ვართ. ჩვენი წადილი და მისწრაფება განსაკუთრებულ, საქართველოს პირობებთან შესაფერ კონსტიტუციის მოპოვებაა. ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკურ ორგანიზმის ჩარჩოებში, მხოლოდ ამასთან შინაურ საქმეებში გვინდა ვიყვეთ სრულიად დამოუკიდებელნი. ერთის სიტყვით, ჩვენ გვსურს **ეროვნული ავტონომია** მოვიპოვოთ (ხაზი ჩემია)“.

მაგრამ „საქართველო“ ამ საკითხს რუსეთის დეცენტრალიზაციას უკავშირებდა. იგი აღიარებდა კავკასიის ფედერაცია, რომელიც უნდა შესულიყო რუსეთის კონფედერაციაში. თავისთავად, რასაკვირველია, ეს არ ყოფილა უეჭველად პრინციპის საკითხი—რუსეთთან დაკავშირება. უმთავრესი იყო ის, რომ ერთა ურთიერთობის და განსაკუთრებით კავკასიაში მკვიდრ ერების კეთილდღეობისათვის საუკეთესო ფორმად და იარაღად ფედერაცია იყო მიჩნეული. და ამ ფედერაციის პირველი საფეხური უნდა ყოფილიყო საქართველოს ავტონომია.

„საქართველოს“ ნომრები ეგზავნებოდა ევროპის გამოჩენილ პირებს და ისინიც ერთნაირის ყურადღებით მოექცნენ ახალ ორგანოს. რედაქციას რამდენიმე თანაგრძნობის წერილი მიუვიდა. მაგალითად, დანიიდან გეორგ ბრანდესისაგან, იტალიიდან პიეტრო მაძინისაგან. საზღვარ-გარეთის რამდენსამე გაზეთში დაიბეჭდა წერილები საქართველოს შესახებ. თანაგრძნობის წერილი მისვლია რედაქციას ლეროა ბოლიესაგანაც. იგი, სხვათა შორის, ამბობდა: „მე ყოველთვის იმ აზრისა ვიყავი, რომ რუსეთის სახელმწიფოს ორგანიზაციაში კავკასიის სხვა და სხვა ერებს და აგრეთვე იმ ერებსაც, რომელნიც ევროპის საზღვრების მომიჯნავენი არიან, უნდა მიენიჭოთ ავტონომია, რომელიც მათს ისტორიულ ცხოვრების დაცვის გარანტიად გახდება. ცენტრალისტურ ხასიათის რუსეთი, თუნდა ლიბერალური წესწყობილება შემოიღონ იქ, ყოველთვის იქნება დამჩაგვრელი პატარა ერების.[19]“

მაგრამ „საქართველო“ პირველ ხანებში მაინც არ ყოფილა ნამდვილი პარტიული ორგანო. ამნაირ ორგანოდ იგი შემდეგში გადიქცა. 1904 წლის 1 აპრილს ჟენევაში მოხდა პირველი კონფერენცია ქართველი რევოლუციონერებისა. სწორედ ეს კონფერენცია, რომელიც თითქმის ერთ კვირას გაგრძელდა—ჩაითვლება სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დამფუძნებელ კრებად. სწორედ ამ კონფერენციის შემდეგ იწყება ამ პარტიის მოქმედება საქართველოში, რომელსაც უკვე უახლოვდებოდა მოძრაობის ხანი. მოძრაობის დროს ეს პარტია გამოვიდა ეროვნულ-სოციალისტურ დროშით და მოითხოვდა საქართველოს პოლიტიკურ თავისუფლებას, ავტონომიას. მაგრამ ამ საქმეში უდიდესი წინააღმდეგობა გაუწია უკვე გაბატონებულმა მიმართულებამ ქართველი სოციალ-დემოკრატიისამ; სოციალ-დემოკრატია ეროვნულ საკითხს ნიჰილისტურად უყურებდა, ხოლო სიტყვა ავტონომია მისთვის საფრთხობელად გამხდარიყო. ამან, რასაკვირველია, შეაფერხა ნორჩი პარტიის მოქმედება და ამასთანავე გზა შეუკრა ჩვენი საპოლიტიკო იდეალის ხალხში, მასსაში განმტკიცებას. ეს უდიდესი დანაშაული თუ შეცდომა იყო ქართველი დასელებისა ერის წინაშე და ისტორია ძნელად თუ აპატიებს...

1905 წელი.

მიუხედავად სოციალ-დემოკრატიის სასტიკი წინააღმდეგობისა, სოციალისტ-ფედერალისტები მაინც ახერხებდნენ მუშაობას. ხალხი მაშინ აბობოქრებული იყო და აღელვებული. იმართებოდა კრებები, მიტინგები და საგანგებო მსჯელობანი, სხვათა შორის ეროვნულ საკითხის შესახებაც. სოციალისტ-ფედერალისტთა მიერ გამართულ მიტინგებზე ხალხი იღებდა რეზოლუციებს, რითაც მოითხოვდა საქართველოს უფლებათა აღდგენას და ავტონომიას. ცალ-ცალკე ქალაქთა წარმომადგენელნი და თვითმართველობანიც მოითხოვდნენ იმავე ავტონომიას. ასეთი იყო სოხუმის და ქუთაისის თვითმართველობათა მოთხოვნილება. პირველმა საერობო და ქალაქთა წარმომადგენლების ბიუროში, რომელიც მოწვეული იყო მოსკოვში, წარუდგინა მოხსენება რუსეთის დეცენტრალიზაციის და საქართველოს ავტონომიის თაობაზე.

ქუთაისის თვითმართველობის მიერ არჩეულმა საგანგებო კომისიამ შეიმუშავა მოხსენება, რომელიც მინისტრთა საბჭოსთვის უნდა წარედგინათ. მოხსენება შემდეგი იყო:

---

*) იხ. „სახ. ფ.“ №№ 792, 793, 795, 798.

[19] ცნობებს ვიღებ არჩ. ჯორჯაძის თხზულებათა I წიგნიდან.

დასაწყისში კრება ჰქონდა გურია-სამეგრელოს სამღვდელოებას. და სავსებით შეუერთდა ქართლ-კახეთის და იმერეთის სამღვდელოების კრებათა დადგენილებას და მოითხოვა საქართველოს ეკლესიის თავისუფლების აღდგენა. ბ. მირიანაშვილის წერილი დაწერილი იყო ადრე, როცა ჯერ კიდევ არ იყო გაზეთებში დაბეჭდილი ცნობა გურია-სამეგრელოს სამღვდელოების კრების შესახებ.

◆ **მორიგი კრება** ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოებისა მოხდება ორშაბათს, 20 თებერვალს საღამოს 8 საათზედ დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში, ბელინსკის ქუჩა № 2. კრების პროგრამა: 1 სამეცნიერო ნაწილი. წაიკითხავენ შემდეგს მოხსენებას: ა. ექიმი მ. დ. წინამძღვრიშვილი ტყირპის ეხინოკოკკი, ბ. ექიმი მ. თ. მგალობლიშვილი: როგორ არის დაყენებული საქმე ტრავმატიულ ზიანის წამლობის შესახებ ქ. მოსკოვში და ამ მიზნით მკურნალთათვის დაარსებული კურსები. 2) საადმინისტრაციო ნაწილი. კრება ითათბირებს საზოგადოების ზოგიერთი მიზნის განხორციელებაზე.

◆ **ჩვენი თანამშრომლის ბ. სიტყვას** ავადმყოფობის გამო დღესაც ვერ იბეჭდება მისი მორიგი ფელეტონი „პატარა ამბები“.

◆ **ბ. ს. კაკაბაძე გვთხოვს** გამოვაცხადოთ, რომ ზოგს ადგილობრივს გაზეთში მოხსენებული ცნობა, თითქოს ის აპირობდეს ლექციის წაკითხვას შოთა რუსთაველის შესახებ სომეხ მწერალთა საზოგადოებაში, სინამდვილეს არ შეეფერება.

◆ **მოგზაურობა ქართულ ოპერეტისა.** ქ. ქუთაისს, ქ. ფოთსა, დ. ზესტაფონსა, დ. სამტრედიაში და სხვაგან თებერვლის ბოლო რიცხვებში მსახიობ ნ. ჩაგუნავას ხელმძღვანელობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი ქართული აზიური ოპერეტი გაჯიბეგოვისა „არშინ-მალ-ალან“.

◆ **ფრესკების გამოფენა.** დღეს 19 თებერვალს, 4 საათზე დაიხურება ფრესკების გამოფენა. მხატვრები დამსწრეთ ფრესკების ისტორიას გააცნობენ.

◆ **სასტატისტიკო კომისიაში.** 17 თებერვალს კავკ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სასტატისტიკო კომისიის პრეზიდიუმის არჩევნები მოხდა. თავჯდომარედ არჩეულ იქმნა ა. ბ. ნერუჩევი, მის ამხანაგად მ. ა. ბუნიათიანი, მდივნად პ. პ. გელეიშვილი. მთელი საღამო კრებამ საორგანიზაციო საკითხების განხილვას მოანდომა. დროს უქონლობის გამო ა. ბ. კალომანსკის მოხსენება შემდეგ კრებისთვის გადიდო. დადგენილ იქმნა კრებები ყოველ კვირა პარასკეობით მოხდეს.

◆ **დაჭრილ ჯარისკაცთა კურსებზე,** რომელიც კავკ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოებასთან მოეწყო, ასწავლიან ამ ჟამად ერბოს და თუშურ ყველის კეთებას. რძის გამოკვლევას. ამ დღეებში დაიწყება მესაქონლეობის პრაქტიკული კურსები კ. ი. თულაშვილის ფერმაში.

◆ მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულმა გამოუგზავნა კურსების გამგეს 320 მანეთი ფრინველთა მომშენებელ ინსტრუქტორის მოსაწვევად.

◆ **მეფის ნაცვლის საბჭომ** გამოუგზავნა კავკ სასოფლო სამეურნეო საზ. საბჭოს 100 ათასი მანეთი იმპერიის თანხიდან თესლეულობისა და სამეურნეო იარაღის შესაძენად.

◆ **საზოგადო კრება** კავკ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა დანიშნულია 22 თებერვალს. კრებას მოხსენდება საბჭოს ახალი სამოქმედო გეგმა. აგრეთვე მოხდება არჩევნები ხაზინადრის მდივნის და საბჭოს ორი წევრის.

◆ **ქართულ სასოფლო სამეურნეო** საზ. კოოპერაციის ინსტრუქტორმა მ. გ. ტოროშელიძემ სამსახურს თავი დაანება ვინაიდან იგი მომხმარებელ ამხანაგობების კავშირში დაინიშნა.

◆ **თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის** თავმჯდომარე გრ. ბურჭულაძე ამხანაგობის საქმეთა გამო ტფილისს ჩამოვიდა.

◆ **ელ. ჩერქეზიშვილის იუბილე.** სოხუმის ქართველ საზოგადოების გადაუწყვეტია, 26 თებერვალს იუბილე გადაუხადოს ჩვენს დამსახურებულ მსახიობს ქალს ელისაბედ ჩერქეზიშვილს.

◆ **სახალხო კითხვა.** დღეს, 19 თებერვალს ავჭალის აუდიტორიაში ანნა ახალშენიშვილი წაიკითხავს მოხსენებას ნიკო ბარათაშვილის შესახებ.

◆ **მის უდიდებულესობის საწყობმა** 14-დან 17 თებერვლამდე მიიღო შეწირულება 34 მ. 20 კ.

◆ **დღეს საზურთალოს** თეატრში გადახდილი იქნება დამსახურებულის მსახიობის ელ. ჩერქეზიშვილის საიუბილეო წარმოდგენა.

◆ **ერობა.** შესდგა მეხუთე სხდომა საუწყებათაშორისო თათბირისა სენატორ მილიუტინის თავმჯდომარეობით. თათბირმა ამ სხდომაზე განიხილა ორი მუხლი, რომელიც შეეხება საგუბერნიო და სამაზრო ერობათა უფლებებს. ერობებს უფლება ენიჭებათ გამოფენების გამართვისა. უფლება ეძლევა აგრეთვე იარმუკა-ბაზრებში საგნების ფასები განსაზღვროს, და საზოგადო საქმეებზე ტაქსა. აგრეთვე უფლება უნდა მიენიჭოს ერობის ნატურალური ვალდებულობის დადება. კამათი და განხილვა პროექტისა ჯერ არ გათავებულა.

◆ **ახალი მომხმარებელი საზოგადოებანი.** დუშეთის მაზრის სოფელ მისაქციელის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დართოს მათ, დაარსოს თავიანთს სოფელში მომხმარებელი საზოგადოება სახელად „დახსნა“.

ამავ მაზრის სოფელ ჟინვალის მცხოვრებნიც მომხმარებელ საზოგადოების „არაგვი“-ს დაარსების ნებართვას თხოულობენ.

◆ **ბოსტნები სატუსაღოებთან.** საპყრობილეთა მთავარ სამართველოს უფროსი გუბერნატორებს შეეკითხა, რომელ სატუსაღოებთან არსებობს ამ ჟამად ბოსტნები, რა ზომისა და რა არის საჭირო, რომ ეს ბოსტნები იმდენად გაფართოვებდეს, რომ ბოსტნეული მთელის წლით ეყოთ ტუსაღთ.

◆ დღეს, (კვირას 19 თებერვალს) დანიშნულია ნაძალადევის უფასო სამკითხველოს წევრთა საზოგადო კრება. კრება შესდგება ნაძალადევის თეატრში. დასაწყისი საღამოს ხუთ საათზე.

◆ ნაძალადევის სახალხო თეატრთან დაარსდა რუსული სცენ. მოყ. სექცია, რომელიც მოკლე ხანში შეუდგება სისტემატიურად წარმოდგენების მართვას.

◆ დღეს (კვირას 19 თებერვალს) დანიშნულია ნაძალადევის სასცენო მოღვაწეთა წრის არაჩვეულებრივი საზოგადო კრება. საგანი კრებისა: სესხი 600 მან. ბილეთების ფასების გადიდება და მოკლე მოხსენება წრის ნახევარი სეზონის მოქმედ. შესახებ. კრება იქნება თეატრის დარბაზში. კრებაზე შეუძლიანთ დაესწრონ ყველა, ვინც 1916 და 1917 წ. წ. გადიხადეს საწევრო. დასაწყისი საღამოს $5^1/_2$ საათზე.

◆ **გ. ქუჩიშვილის დილა.** კვირას, მარტის 5-ში, სახალხო სახლში, გაიმართება გ. ქუჩიშვილის სალიტერატურო-სამუსიკო დილა. მონაწილეობას: სანდრო შანშიაშვილი, ვ. რუხაძე, ს. აბაშელი, შოლტი, გ. შინატეხელი, ვ. საათაშვილი, გ. ქუჩიშვილი, ნ. გოცირიძე, შ. საფაროვი, სალაყაია, მოხეტიალე მემუსიკე ილ. ქურხული, ი. სალირაშვილი, ძმანი კავსაძენი და სხვ. ბილეთები გაიყიდება 20 თებერვლიდან კანტორა „განათლებაში“, ოლღას ქუჩა.

◆ **სახაზინო დახმარება.** 1 მარტიდან სახაზინო დახმარება ომში გაწვეულთა ოჯახებს მოემატებათ, ახალქალაქისა, ბორჩალოსი, დუშეთისა, ტფილისისა და თიანეთის მაზრაში და სამაზრო ქალაქებში მიეცემათ: მოზრდილთ—7 მ. ხოლო მცირეწლოვანთ—3 მ. 50 კ. ახალციხისა, გორისა, თელავისა, სიღნაღის მაზრისა და ზაქათალის ოლქში მიეცემათ: მოზრდილთ—6 მ. 50 კ. მცირეწლოვანთ—3 მ. 25 კ.

ალსანიშნავია, რომ რადიკალურმა ინტელიგენციამ და დრომ თავად-აზნაურობაზედაც მოახდინა გავლენა. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ ხელმწიფე იმპერატორს 1905 წლის აპრილის დამდეგს გაუგზავნა ადრესი და ავტონომია მოითხოვა. ადრესში ეს აზრი ასე იყო გამოთქმული: „თავად-აზნაურობა, ზრუნავს-რა ხელმწიფოს საზოგადო სარგებლობის და საჭიროებისათვის, მტკიცედ დარწმუნებულია, რომ მშვიდობიანი და კულტურული განვითარება ქართველ ხალხისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს, რუსეთის სახელმწიფოს ამ განუყოფელ ნაწილს და ერთიანობით მასთან შეკავშირებულს, მიენიჭება უფლება საკუთარის კანონებით მართვა-გამგეობისა. ეს კანონები უნდა დადგენილ იქმნას ადგილობრივ წარმომადგენლობითი კრების მიერ, რომელიც მთელის საქართველოს მცხოვრებთაგან აირჩევა საყოველთაო, პირდაპირ, ფარულ და თანასწორ ხმის უფლებითა“.

ალსანიშნავია აგრეთვე, რომ ტფილისის გუბერნიისავე თავად-აზნაურობამ პირველ სათათბიროს მისალმება გაუგზავნა გახსნის დროს და ავტონომია მოითხოვა. ამისათვის მისი მემარჯვენე წევრები ძლიერ გაბრაზდნენ და რამდენმამე მათგანმა დეპეშითაც კი განაცხადა პროტესტი ხსენებულ თავხედობის (дерзость) წინააღმდეგ.

1905 წელსავე გაჩნდა „ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიულიპარტია“, რომელიც საქართველოს ავტონომიას მოითხოვდა. მაგრამ ეს პარტია ჩქარა გაქრა და არც თუ სიცოცხლის დროს გამოუჩენია რაიმე უნარი.

1905 წლის მოძრაობა რუსეთში დამარცხდა. მასთან ერთად დამარცხდა ქართველი ხალხის მოძრაობაც. მაგრამ ქართველობა დამარცხდა განსაკუთრებით, დამარცხდა როგორც ქართველი ერი, როგორც განაპირა ქვეყანა, დაჩაგრული ეროვნება. ცეცხლსა და მახვილს მისცეს მისი მიდამოები, მწარე ცრემლით აატირეს მშობელი დედა და მთლად მოსრეს, გადაბუგეს მრავალი სოფელი და მტრის ლაშქარივით აიკლეს ჩვენი ტურფა სამშობლო. და აი, მაშინ ერთხელ კიდევ ვიგრძენით მწარე ტკივილები, მიმოვიხედეთ გარეშემო. ვეძებდით მეგობარს, მანუგეშებელს, დამყვავებელს. მაგრამ ცივი სიჩუმე იყო ჩვენთვის განმზადებული და ამაო იყო ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება...

ქ. რაჭველი.

(დასასრული იქნება)

ნიმუშები გერმანის ახალ პოეზიიდან

ა.

ფრიდრიხ ნიცშე

სილს მარია*)

აქ ვიჯექ მარტო და უცდიდი სრულა არა რას
ბოროტისა და კეთილისა გაღმა
სხივთ კამარას,
ხან ჩრდილთა თამაშს შევყურებდი ფერ მორეული
მთლად ზღვა ვიყავ, მთლად შუადღე, თლად
უმიზნო დროდ ცეული.
და უცებ სატრფოვ! ერთი ორად იქცამაშინა,
და ზარატუსტრამ ჩემს წინაშე გადაირინა.

ბ.

კარლ ერნსტ კნოდტ

რა ვიყავი?

რა ვიყავი? ნორჩი ია, ბალჩის ვარდი ჭრელი,
ქარიშხლიან ღამეში, შემცვივდა ფუცელი.
—მათხოვარი ჯვარედინსა გზაზე მარტო მდგარი,
გამვლელებმა რო იპოვეს წინა ღამით მკვდარი.
რა ვიყავი?—ნაძვისა ხე ტყისა ბოლოს მდგარი,
ქარბუქისგან წაქცეული და შტოებ ემხმარი.
—დრუბლის ქულა, ცისა გუმბათს მკერდს რო მიეფინა.
სული სამშობლოსკენ მსრბოლი, გზა რო გაჰყ ნა.

გ.

მარია იანიტშე

ბოჰემი.

ცეცხლი მოდის... მძინარ ქალაქს
ფეხ აკრეფით ეპარება.
სძინავთ ასულთ, ფერ მიმკრთალებს
ტუჩზე უკრთით ცელქი ვნება.
მათ არ ესმით ცეცხ ლისა ხმა,
სძინავთ ცეკვით დამაშვრალებს,
ძუძუ-მკერდი ულივლივებს,
ამურით და ღვინით მთვრალებს.
ეზმანებათ: საყვარელნი
მომავალნი ფეხ აკრეფით,
მეფურ სუფრის ზედ საფეხი
შეწინწკლული ღვინის შხეფით.
ეზმანებათ ქერუბიმის ფრთა,
ნარნარი, ბროლ ფიქალი,
. . . .
თავს დაჰქროლავს მძინარ ქუჩებს
იეჰოვას ცეცხლის თვალი...

ქ. აბაშისპირელი.

---

*) მთის მწვერვალის სახელია შვეიც. მთებში—სადაც ნიცშეს ძლიერ უყვარდა ჯდომა.

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები.

15 აგვისტოს სხდომაზე, რომელზედაც როძიანკო თავმჯდომარეობდა, სიტყვა წარმოსთქვა შრომის ჯგუფის წარმომადგენელმა კერენსკიმ.

კერენსკიმ შემდეგი სთქვა: მე ვეთანხმები მილიუკოვს, რომ ჩვენ მართლაც ომის გადამწყვეტ ხანაში ვიმყოფებით. მაგრამ მე ოპტიმისტი როდი ვარ. მსოფლიო ტრაგედიის უკანასკნელი აქტი სრულიადაც არაა წინადვე გამორკვეული. ძალა მარტო ჩვენს მტრებს კი არა, ყველას გველევა, აგრეთვე ჩვენს მოკავშირეებსაც და ახლა, ამ განწირულების ჟამს, ჩვენ უნდა დავეკითხოთ თავს, რა ძალით, რა იმედით გამოვდივართ? ჩვენ საისტორიო გზაზე შევსდგით ფეხი. რუსეთის სულისკვეთება კი უიმედოა, იგი თანდათან უარესდება, მეფდება ქაოსი, რომელთანაც შედარებით 1613 წლის არეულობა საბავშვო ზღაპარია. თქვენ ფართო იმპერიალისტურ მიზნებს ისახავთ, ლაპარაკობთ სტამბოლსა და სრუტეების თაობაზე. მაგრამ მთავრობა სრულიად უძლურია თავისი სახელმწიფო დაიცვას. გაქვთ კი იმის შეგნება, რომ თქვენი პირადი ინტერესი დაუმორჩილოთ სახელმწიფოს ინტერესს? არა, თქვენ ეს არ შეგიძლიანთ. თქვენ აკრიტიკებთ მინისტრებს, რომელნიც განუწყვეტლივ მიდი-მოდიან, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ სისტემა ძველივე რჩება. მთავრობის მუშაობამ სრულიად არივ-დარია ხალხის სამეურნეო ცხოვრება. ცნობილი ფრანგთა ანტიმილიტარისტი ჰუსტავ ერვე ომამდე ჰქადაგებდა ამნაირსავე დანგრევას სახელმწიფოსას. ჩვენი მინისტრები ერვეს მიმდევრები არიან. ერთი ანგრევს საზოგადოებრივ აზრის და მოქმედების ორგანიზაციას მეორე—გზების საქმეს, მესამე—სურსათისას. სათათბიროს უმრავლესობას არა აქვს ნებისყოფა, იგი უილაჯოა, თქვენ ახშობთ ხალხის მასსის პათოსს, ენტუზიაზმს, თქვენთვის ძვირფასი როდია მისი ინტერესები, თუმცა ყოველთვის მას ფიცულობთ, თქვენ იმპერიალისტურ მტაცებლობას ჰქადაგებთ, მაგრამ ეს ხომ ხაზხაშია. რომლითაც ამაოდ სცდილობთ რუსეთის ცხოვრების გაბრუნებას და მისი უფერულების დამალვას. დროა ოცნებას თავი დაანებოთ, აწმყოზე იფიქროთ და თანდათან მოამზადოთ ამ სისხლის ღვრის ლიკვიდაცია, შემდეგ ზავის ის მინიმალური მოთხოვნილებანი, რომელის საფუძველზე შესაძლებელი გახდება ზავის ჩამოგდება (ტაში უკიდურეს მარცხენა ფრთაში).

შემდეგ ილაპარაკეს კარაულოვმა და კაპნისტმა. მიიღეს და სასწრაფოდ აღიარეს შეკითხვა სახელმწიფო საბჭოს წევრთა დანიშვნის თაობაზე. კანონით დანიშნული წევრები თუ თვითონ ითხოვენ დათხოვნას, მხოლოდ მაშინ თავისუფლდებიან თანამდებობისაგან. ამიტომ უმეთოდ დათხოვნა უკანონოა.

მიიღეს აგრეთვე შეკითხვა უკამათოდ ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების შესახებ მუშათა მიმართ. შეკითხვას იცავს **ხაუსტოვი**, რომელიც ეხება საზოგადოდ მუშათა მდგომარეობას რუსეთში.

შემდეგი სხდომა 17 თებერვალს მოხდება, დილის 11 საათზე.

გულის ნაფლეთები

ერის ნაგაზი და წერაქვი.

ომის ყოველი დღე იწვევს ჩვენი საზოგადოების და ოჯახის დაქვეითებას. ვუძლურდებით დღითი-დღე, საათობით, წუთით. წლები ილევა ჩვენი ერი, გული უტყდება, სულით ეცემა. ისეთ მცირე რიცხვიან ხალხს ათასობით გვაკლდება წევრები, ნახევრად გადაგვარებული ხალხი ვცხოვრობთ კომპაქტურ ცხოვრებას, ერთად ყოფნას, თავის მოყვრით ერთმანეთის შორის სიყვარულის და ეროვნულ მორალის განმტკიცებას, მაგრამ ნამდვილად დავიქსაქსენით, უფრო ადვილად გავიფანტენით, კიდევ უფრო შემოგვეპარება გადაგვარების და დაცემის სალტები.

ომის გამოცხადების პირველსავე დღეს ვიგრძენით სიმწვავე მდგომარეობის, მაღალი ტონი ავიღეთ, ეროვნული ყიჟინი ვიწყეთ, მაგრამ იგი ყიჟინი მდგომარეობის გაურკვევლობით კი არ გამწვავდა, კი არ ჩამოყალიბდა, წესის და ხანგრძლივ მუშაობის ხასიათი კი არ მიიღო, არამედ ავადმყოფური ელფერი დაიჩნდა, თან და თან დასუსტდა და ლამის არის ეროვნული ინტერესი დავიწყებას მიეცეს.

აი, ამ ომში მტკიცე სული იმარჯვებს. ის ყველაზე მართალი ამბავი გვიმტკიცებს ჩვენ დაუძინებლად. დღემდე ტყვიის და ცეცხლის არენებიდან მოვიდნენ მეომარნი, ომის რკინის და სისხლის სული ასეთ ახლოდან, ნივთიერებით ეხებიან ერთმანეთს, ყოველი დაიწურა, დაიშრიტა და ამოიწურა მთელი მისი ენერგია, ნებისყოფის ტემპერატურა უნდა გადმოვწიოთ ომის სიცოცხლე.

თუ რომა დაგვწყვი, თუ გამარჯვება ქართველ შემოქმედთა რაზმი თუ ფიზიკურად ეჭვუქვეს უხვდება სამშობლოს, ეროვნულ აღორძინების სიყვარულის ტალღამ იმპერიულის ხასიათი უნდა მიიღოს და სულის სიმტკიცე სხეულის უძლურება თავისუფლად გარდაქმნას. ეროვნულ ძმობის და ერთობის დროშა დღეს გვჭირია, გვმართებს ყოველ ქართველს დაფიქრება, მოვლა, დარაზმვა, სამშობლოს ტკივილებით და საჭიროებით გატაცება. თუ გასაჭირში იმყოფება ჩვენი დედა ერი, თუ დრტვინავს და მწუხარე მთლად გმინავს ჩვენი სამშობლო, უნდა გვწამდეს, რომ საერთო ვარამის გალობა ყოველ ქართველის შეგრძნებას, ყოველ ქართველის გულს გააღვიძებს.

ქართველობის მრავალი ძალა გადის სამშობლოდან. მცხუნვარე მზის ქვეყანას და მიდამოზე ქართველობის ენას, ზნეს, ადათს, ჩვეულებას ივიწყებენ. დროს უქონლობის გამო ჩამოვიშორებთ იმ უმთავრეს ნაწილს, რომელიც ეროვნულ მომავლის ბედს წყვეტს.

დღეს ჩვენს წინაშე ორი საკითხია: საქართველო საქართველოში და საქართველო უცხოეთში, ორივე საქართველო ქართველმა მხოლოდ ერთი აზრი უნდა ატაროს და მისი აზრი ერთი ტანჯვა უნდა იყოს ეროვნებისათვის. ყველ ქართველი დედა და მამა, მმა და მეგობარი მხოლოდ და მხოლოდ საქართველო და ქართველობა. სისხლისა და ოფლის წურწურში, ცრემლსა და ოხვრის წიაღში საქართველოს დღეების ხმა საგალობლად ჰიმნად უნდა მივგვაწვდინოს ერში უნდა გავითვალისწინოთ ყველგან ერის სული ვატაროთ თითოეულმა. ხოლო დაკარგული ენერგია უნაყოფოდ დაკარგულ სიმღერად მიგვაჩნია, თუ ერის საქმე მით არ დაწინაურდა. კოლოთობისა და ზომბირაზმის ეროში ვცხოვრობთ, ლილიპუტების სხეით რომ ვცხოვრობთ დიდებულება სული უნდა ვატაროთ და განვამტკიცოთ ქართველობის სიცოცხლე. უცხოეთის ქართველობა ქართულ ხელოვნებას, პოეზიას, ლიტერატურას მხოლოდ იმიტომ იცნობდეს, რომ ხმა არის პატივი და ღირსება მოუპოვოს მშობელ ქვეყანას. მაგრამ საქართველოს ქართველობას გაცილებით მეტი მოვალეობა გვაქვს ერის საქმეზე. ისეთ ხანაში ვიმყოფებით, რომ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ძალას იმედი უნდა გვქონდეს, ასეთ ცხოვრებისათვის სრულიად მოუმზადებელნი უკიდურეს გაჭირვების განსაცდელში ვარ წარმოდგენილნი ღვინის სმის და ლხინის მაგიერ როგორ დავიწყოთ მატყლის წმენდა და ფიქრი.

ჩვენ არა გვაქვს სახელმწიფოებრივი წყობილების ნორმები, რომ ეროვნულ საჭიროებისათვის იძლეოდეთ ხასიათის წესები გამოვაცხადოთ, მაგრამ როცა ერის საჭიროება ცხადია და გარკვეული შრომის სამოქალაქო და ეკონომიური მოვალეობის ძალა უნდა მიეცეს და დაკარგულ, ეუფრატო და მოლოდინში ჩადებულს ყოველი ქართველი, რომელიც ენერგია ცხოვრების ნივთიერ სარჩოს არ შეეგუება. სულის სიმტკიცესთან ერთად ქონებრივი სიმტკიცე უნდა ჩამოვიგოთ. ვერ დავასახლებთ უცხოელებს ამათში. მაგრამ სულიერ მხოლოდ დონიერი ორგანიზმი იცხოვრებს და მაშასადამე ყოველ ქართველის თანამედროვე იარაღი ეროვნული ნიჩაბი და წერაქვი უნდა შეადგინოს.

გვრცხვენოდეს ჩვენი წარსულის, ეკონომიური და უნაყოფო ცხოვრებისა, გვრცხვენოდეს უზრუნველ სილაღისა და ცხოვრებისადმი გულგრილობისა. საქართველოს მამულებში მხოლოდ საცდელის ნიჩაბი რაც შეიძლება ხშირად გადაბრუნებდეს მიწის მძაფრსა. ბოროტება და ფეხი მომავალ ფიზიკისა და ხელის თითებში უნდა გამოიყურეს ზურგიანების, ხოლო ტანისა—ხმალი! გვრცხვენოდეს სიცოცხლისა და სიკვდილის უფსკრულში მყოფს საკუთარ ოჯახში! დღეს ერთ საშინელ ომში ჩაბმულ გარეთ ვცდილობთ, მთელ ჩვენს ძალებს ვაბარებთ ჩვენს ბედს. დღეს ვიწყებთ ნაყოფი უფლიერ, მცირედი და ყოველი ჩვენი ცხოვრებისა და სულიერი ძალა უნდა დავუმატოთ ყოველმა. რაც მოხდა, ისტორიის ჩაბარება, მაგრამ შედეგი მაინც ნაყბისა და წერაქვს მოვუვლოთ ხელი და კიდევ-კიდევ ხელი გამოვიცადოთ ეკონომიურ მოვალეობის ხელს. მოვსპოთ ყოველგვარი გასართობი, ყოველგვარი ფუფუნება და ხელმოცარულ ცხოვრების მიერ ეროვნული საქმე. წერაქვით და ნაყბით შევქმნათ სიმდიდრე. შევინახოთ ვით საუნჯე, გავმრავლოთ იგი, რომ ასეთი ნაირად შევძლებით ხალხის სიმშილით არ მომკვდარს სამშობლო. მოვლადოთ მოვინახულოთ ყველა, ვინც ამ წესს უარყოფს და შრომის, ჯაფის, სიმწრის დროს ლაღობას და უდარდელობაში გაატარებს.

თედო ღლონტი.

წერილები ქუთაისიდან

3.

ამერიკული შთაბეჭდილება.

ამერიკის ყოფილ პრეზიდენტს უნდა ეკუთვნოდეს შემდეგი:

— კაცი, რომლისთვისაც თანატოლი და უთუოდ ერთობა, ადამიანი, რომელიც სამშობლოს იქ მიიჩნევს, სადაც კუჭის დაკმაყოფილება იძახის, იმ მეძავ დედაკაცს მოგავს, რომელს სამშობლო იქ არის, სადაც მისი საწოლი იქნება და მისი წარმავალი ნაცნობი...

შემდეგ ეს სიტყვები მკაცრი იყოს, მაგრამ ამ მაგალითში არა ნაკლებ სიმართლე არის. ეს სინამდვილეა, როდესაც ადამიანი თავის როოფულ შეიცნობს, თავის მიწა-წყალს და თავის ხალხს, ასეთი „მე“-ს კუთვნი აკავშირებს და სამშობლო ის ყოფს მაინც, სადაც მისი შრომა ყიდულობს.

სწორედ ასეთი იდეალურის ადორძინების უწყობადი ხალ ჩვენი დასწავლით, როდესაც ძალით თუ ნებით მის ქვეყნის შინა ყველას მარტოოდენ ერთ რამის აყვირება:

— სამშობლო არ გვაქვს, ჩვენი სამშობლო იქ არის, სადაც კუჭს გამოვძღებთ.

განა შეიძლება ეჭვის შეტანა, რომ ასეთი სინამდვილე ეროვნულ არსებობას საშინელ კატასტროფას უქადდა და ერს ქვეყანაზე უფსკრულისკენ მიაქანებდა?

მაგრამ საბედნიეროდ ჩვენდა ქართველი კაცის ეროვნული გრძნობა მაშინაც კი უცვლელი დარჩა, როდესაც მისი ბაგე სამშობლოს უარყოფას ღაღადებდა და დღეს ჩვენ ვხედავთ თუ რამდენის ხალისით და სისწრაფით ელტვის ქართველი კაცი ეროვნულ თვითშემეცნებას და ეროვნულ განცდათა გაღრმავებას.

ამ მხრივ ქუთაისს მართლაც და სასაყვედურო არა აქვსრა და ის, რასაც დღეს ამ მხრით ქუთაისში ვხედავთ, ფრიად სასიამოვნო და სასურველია.

თუ უწინ თითქმის სასირცხოდ მიაჩნდა მშრომელთან ქართველიც მიემატებინა და ქართველი მშრომელი, ქართველი მუშა ეთქვა, დღეს მას სამარცხვინოდ ის მიაჩნია, რომ ქართველი სხვისაგან ვერ განარჩიოს.

თუ ქართველ ინტელიგენტს დღემდე სასირცხოდ მიაჩნდა დედა-ენაზე სჯა-ბაასი და მისგან უცხო ენის მეტს ვერას ისმენდით თვით საზოგადო კრებაზედაც კი, დღეს მას სასირცხოდ უცხო ენაზე ლაპარაკი მიაჩნია.

თუ დღემდე ქართველი ვაჭარი გარდა თავისი დახლისა ყველაფერს ინდიფერენტიზმით ეპყრობოდა, დღეს მას საქართველოს საერთო მდგომარეობაც აინტერესებს და ნელ-ნელა ჩნდებიან ქართველთა ქველმოქმედნი, რომელთა რიცხვი აქამდე ფრიად მცირე იყო.

ერთი სიტყვით თუ დღემდე ყველაფერი ქართული ბევრისათვის უარსაყოფი იყო, დღეს მისაღები კი არა, სათაყვანოა, და ამიტომ ასე ნაკლებ ისმის ამ ბოლო დროს საყვედურები ქართველთ ნოქრის უმოქმედობის ქართველი ინტელიგენტის გადაგვარებისა და ქართველი ვაჭრის მცირეობის შესახებ.

შედეგი?

შედეგი ის გახლავთ, რომ საზოგადოებრივმა ინსტიკტმა რეალური სახე მიიღო, ქართული საზოგადოებრივი დაწესებულებანი საოცარის სისწრაფით მრავლდებიან, ყოველი წრისა და დარგის ხალხი შეკავშირების გზას ადგია, ეროვნულმა, თვითშეგნებამ თავისი საპატიო ადგილი დაიკავა და მალე აღარავის ექნება საბაბი ჩვენი დამოკიდებულება ჩვენი სამშობლოსადმი იმ მეძავი ქალის მდგომარეობას შეადაროს, რომელსაც

— სამშობლო იქ აქვს, სადაც საწოლი ოთახი და თავის სიმპატია— სიყვარულს მას აძლევს, ვინც ფულით აჯილდოვებს...

4.

კონკრეტიულად.

მრავალი მაგალითები მოწმობენ ჩვენი ეროვნული თვითშემეცნების აღორძინებას, მაგრამ ჩვენ დავასახელებთ სულ რამდენიმეს.

ამ ოცი წლის წინად, რომ ქართული გაზეთის ტარიფი ათას ცალამდე ასულიყო, ეს პირდაპირ გაოცებაში მოიყვანდა ბევრს. ამბობენ როდესაც ილიას „ივერიის“ ტირაჟი 800 ცალამდი ავიდა, თვით ილიასი და მის თანამშრომელთა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდაო. და თუ არ ვსცდებით იმ დროს „ივერია“ თითქმის ერთ-ერთი ქართული ყოველდღიური გამოცემა იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „დროებას“, რომელიც ბევრად ნაკლები ვრცელდებოდა და მალე მიიხურა.

და ვინ იფიქრებდა იმ დროს, რომ ქუთაისში ყოველ-დღიური გამოცემა იარსებებდა?

„მაგრამ რას ვხედავთ?

ვხედავთ, რომ დღეს ქუთაისში ორი ყოველ-დღიური გამოცემა გამოდის ეროვნული მიმართულებისა, რომელთა შორის ერთ „ჩვ. მეგობარს“ დღეს ორჯერ მეტი ხელის მომწერი და ოთხჯერაო მეტი მკითხველი ჰყავს, ვიდრე ილიას „ივერიას“. ამავე დროს არსებობს რამდენიმე თვიური და კვირეული გამოცემანიც.

ყველა ამას, რომ თავი დავანებოთ, ანგარიშ გასაწევია ის ინტენსივობა, რომელსაც ჩვენი პროვინცია იჩენს. სკოლებისა და სამკითხველოების დაარსება-გავრცელებაში. დღეს სოფელს ვერ ნახავთ, რომ საკუთარი ბიბლიოთეკა და სკოლა არ ქონდეს.

თვით ქუთაისში კი 4 თუ 5 სამკითხველო არსებობს და 4 და 5 კიდევ ისეთი საშუალო სასწავლებელი, სადაც დედა ენა სათაკილოდ კი არა, სათაყვანოდ მიაჩნიათ.

ნურაფერს ვიტყვით ქართულ გიმნაზიაზე, რომელსაც უკვე კაიხანის მატიანე აქვს. ამ უკანასკნელ ორ წელში ორი საშუალო სასწავლებელი მოგვცა ქუთაისმა კომერციული სასწავლებელი და „სინათლის“ სასწავლებელი, რომელნიც სხვა მიზნით არ ყოფილან და არც არიან დაარსებულნი თუ არა ეროვნულ შემეცნების განსავითარებლად და ქართული ერის გასათვითცნობიერებლად.

ამავე დროს საპატიო ადგილი დაიკავა ჩვენს ცხოვრებაში წიგნის საგამომცემლო საქმემაც. დღეს ქუთაისში რამდენიმე წიგნის მაღაზიაა, რომელთაგან ყველანი კარგად ვაჭრობენ. გარდა წ.-კ. საზოგადოებისა, გამომცემლობას ეწევა ორი წიგნის სავაჭრო ოცხელისა და მთავრიშვილის და დღეს ეროვნული შინაარსის წიგნები ხალხი ათჯერ კი კი არა, ასჯერ მეტი ვრცელდება, ვიდრე ეს თუნდა ამ რამდენიმე წლის წინად იყო.

აიღეთ ქართული თეატრი. სადღაა დღეს საყვედურები თითქოს მას სასაზოგადოება არ ეტანებოდეს? თეატრი თითქმის ხალხითა გაჭედილი და მერე როგორ გგონიათ, როდის მეტის ხალისით დაიარება თეატრში ხალხი? როდესაც ისტორიული პიესები იდგმის. მაგალითად მიმდინარე წელს არც ერთი ისტორიული პიესა ისე არ დადგმულა, რომ რამდენჯერმე არ განმეორებულიყოს, და არც ერთხელ არ ყოფილა, რომ წარმოდგენაზე თუნდ ერთი ბილეთი გაუყიდველი ყოფილიყოს. და არა თუ ეს, პირდაპირ განცვიფრებაში მოხვალთ, როდესაც ხედავთ თუ როგორის გრძნობითა და აღფრთოვანებით ეპყრობა ქართველი მაყურებელი ამა თუ იმ ქართულ ისტორიულ მოვლენას...

მერე რას მოწმობს ყოველივე ეს?

იმას რომ ქართველი ერის ეროვნული შემეცნება თავის საპატიო ადგილს იკავებს ერის ცხოვრებაში და მალე იქნება დრო, როდესაც საყვარელ მგოსანთან ერთად თვით ერი გაუწითელებლად იტყვის:

— გადაგვარებიხ მოსყურნე ბუნებისაგან კრულიაო!

ჭეშმარიტად, ჩვენი ეროვნული განვითარების საქმე სათანადო ინტენსიობით სწარმოებს და ვისურვებ მალე ამოგვევსოს ის ორმო, რომელიც ჩვენსა და ჩვენსა წმინდა მისწრაფებათა შორის დროთა უკუღმართობამ ამოაღრმავა.

ნიშნები საიმედოა და კეთილი იქნება ბოლო.

მართალია, ხშირია ჩვენს ცხოვრებაში დისონანსებსაც ეხლაც აქვს ხოლმე ადგილი, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ წერილში გვექნება ლაპარაკი.

გაგრი.

წმ. ნინოს უძველესი ეკლესია გარეთკახეთში

სოფ. ნინო-წმინდა გაშენებულია ცივ-გომბორის მთაგრეხილის კალთებზე და ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებულია ზომიერის ჰაერით, საუცხოვო მთა-ბარით და უხვი წყლით. ეს სოფელი საგარეჯოდან ორი ვერსით არის დაშორებული. ვინც კი ამ სოფელში ყოფილა, უპირველესად ყოვლისა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა წმ. ნინოს უძველეს ტაძარს, რომელიც ფრიად ძვირფას განძს შეადგენს, როგორც ისტორიული ნაშთი წმ. ნინოს მოციქულებრივი მოღვაწეობისას, საქართველოში ქრისტეს მცნების გავრცელების დროს.

როგორც ძველი წყაროებიდან ვიცით, წმ. ნინოს ეპარქია მეხუთე საუკუნეში არის დაარსებული. ბ. ვახუშტი მოგვითხრობს, რომ წმ. ნინოს ეკლესია ნაშენია მეფე გორგასლანისაგან, სადაც მან დასვა ეპისკოპოზი. პლ. იოსელიანის ცნობით წმ. ნინოს ეკლესია ძველად საკერპო ყოფილა და წმ. ნინოს დროსვე ეს საკერპო გადაუკეთებიათ მართლმადიდებელ ეკლესიად. მეხუთე საუკუნიდანვე აქ დაარსდა საკუთარი თავისუფალი ეპარქია, აქ იჯდა მიტროპოლიტი, რომელიც განაგებდა ქიზიყამდე.

ეპარქია ესე მკვიდრი და შეურყეველი იყო ვიდრე მეცხრამეტე საუკუნემდე, ხოლო რუსთა მეფობის დროს პირველი ქართველი მიტროპოლიტის ვარლამ ერისთავის წინადადებით უწმ. სინოდმა გააუქმა ეს ეპარქია 1817 წ.

მეხუთე საუკუნიდან ვიდრე მეცხრამეტემდე წმ. ნინოს ეპარქიას ბევრი შესანიშნავი მიტროპოლიტები ჰყავდა, რომლებიც თავიანთის განვითარებით, დაუღალავის ენერგიით და თავგამოდებით თავს ევლებოდნენ თავიანთ სამწყსოს და თავისის მამობრივი ქცევით და მაგალითით ერთგული დამცველნი იყვნენ აქ მართმადიდებლობისა. მათ შორის უახლოესნი იყვნენ: არსენი, იოსები (ცაჩნაძე), ნიკოლოზ (ანდრონიკაშვილი), მიქელ, საბა, მიხეილი და სხ.

დღეს ამ ძველი წმ. ბინოს ტაძრის წინა პირი დანგრეულია, ოლო კარი ბჭე, რომელიც მიშენებულა შემდეგში, როგორცა სჩანს 1671 წ. მიტროპოლიტ ნიკოლოზ ანდრონიკაშვილისაგან, მთლად დარჩენილა.

ამასვე განუახლებია თით ეკლესიაც. კარის ბჭე ესე ნაშენია მთლად წითელის აგურით, რომლის კარების თავზე დატანებულია დიდ ბრტყელი ქვა, შემდეგის წარწერით: „ხსენებითა და შეწევნითა ღვთისათ ხელ-ვყავ განახლებად ანდრონიკაშვილმა ნინო წმინდელმა ნიკოლოზ განვხლე გარეთ აგურითა და დავახატვინებანკელი და შევამკე სრულიად და აღვშენე კარის ბჭე ესე.

ოი შემწე ჩემდა შეწევნა ღვთისა ამშენებლისა მისისა შესაწირებელო წმ. ნინო შეიწირე მცირეესე ნაშრომი ნაცვლად მაგ დღესა იდსა განკითხვისასა ამინ. ქ—სა ლთ“.

ამ კარი ბჭის კარებით შედიხართ თვით დიდებულ ტაძარში რომელიც, როგორცა სჩანს დანგრეულა 1824 წ. როგორც ეტყობა შიგნითმთელი ტაძარი მშვენივრად ნახატ ყოფილა. ეხლაც არის დარჩენილი შიგნით შემდეგი ნახატები: საკურთხელის თავზე სავარძელში მჯდომი ღვთისმშობელი მაცხოვრით კალთაში და მარჯვნივ, მარცხნივ გაბრიელ და მიქელ მთავარანგელოზი; სიმაღლით სა არშინზე ლამაზად დაცულია ფერადით ნახატი ათი წინასწარმეტყველნი: დავით, აბაკო, იასე, სოლომონ, ეზეკლ, ელისე, დანიელი და სხვანი. ამის ქვეით მთელის ტანით ნახატია წმინდანები: წმ. ნიკოლოზი, წმ. იოანე მოწყალე (თუ არა ვცდები), წმ. კლ... და შემდეგ აღარ მოსჩანს ნახატი, ჩამონგრეულა. აქვე მარჯვნივ თალგადასული სალარო, ხოლო მარცხნივ სამ სხვერპლო.

თვით ეკლესია ესე, როგორც ეტყობა ნაშენია კლდის სიპი ქვით, ხოლო გარედან ხუთი არშინის სიმაღლემდე საკურთხევლის ალაგას ყვითელი მაგარის ქვით არის ნაშენი.

ეს ეკლესია ვარსკვლავის მაგვარი გეგმისაა და სიგრძე-სიგანე ერთნაირი ზომისა არის 28 არშინი. ეს ეკლესია ფრიად მდიდარი ყოფილა ძვირფასი თვალმარგალიტით შემკული ოქრო-ვერცხლის საეკლესიო სამკაულით, მაგრამ სამწუხაროდ, როგორც პატივცემული ა. გულისაშვილის აღწერილობიდან სჩანს *) ეს ეკლესია გაუტეხიათ 1884 წ. ოქტომბერში ავაზაკებს და შემდეგი ნივთები გაუტანიათ: 1) შევერცხლილი სახარება, 2) შევერცხლილი ხის ჯვარი, 3) მოოქროვილი ბარძიმფეშხუმი და კამარა ვერცხლისა, 4) ვერცხლის მეორე წყვილი ბარძიმფეშხუმი, 5) ვერცხლის სასეფისკვერე, 6) ორი ვერცხლის კოვზი, 7) ორი განსაზავებელი ვერცხლისა და 8) ვერცხლის საცეცხლური. დღესაც ამ ძვირფასი ბარძიმ-ფეშხუმის დაფარნებია დაცული ამ ეკლესიაში, შესანიშნავი ხელოვნების ნიმუში, ძვირფასად მოოქრომკედებული. დიდ დაფარნაზე შუაგულში გამოყვანილია ხელოვნურად ნაკერი ჯვარი, ხოლო დანარჩენი ადგილი მოფენილია ძძიმედ დაოქრომკედებული ყურძნის მტევნებით. ბოლოში ამ დაფარნას მშვენიერი ოქრომკედით შემდეგი წარწერა აქვს: წ. საქართველოს მეფ. ვახტანგის ასულმა და კახთ მეფის დავითის რძალმა და ბატონიშვილმა თამარ შევაკერინე დაფარნა ესე და შევწირე საგარეჯოს წმ. ნინოს დღეთა ჩვენთა „წარსამატებლად სულთა ჩვენთა საოხად ქრ. უვ.

ამ ეკლესიაში არის პატარა სახარება, რომელსაც ბოლოში ასეთი წარწრა აქვს: შეიწირა წმ. ესე სახარება მ-ს უ-თ. ოდეს მეფობდა კახეთს მეფედ ქნ-სა უთ. დ-ა ვ-ა სრულ იქმნა ყოვლაო ბრწყინვალე ევანგელე ხელითა ცოდვილისა მიქელისათა. ამის შემდეგ შემდეგი წარწერაა:

„გლახაკი სულთა და მდებალი ცნობითა ქვემთრევი ცოდვისა შინა მხეველი შენი ასული დიდებით ამაღლებულისა ქართვ. მეფასა ერეკლესი და დიდად წარჩინებულის კახთ მეფის დავითისა და თინა მემკვიდრე კახეთის სახლთუხუცესა ჩოლაყაშვილის ედიშერისა სძალი ამბა ალავერდის ნიკოლოზისა სოფლისა საცთურებათაგან განცდილი და აწ ენკრატის ქმნილი პირველ მრობით ხმობილი უბადრუკი მაკრინა. აღვიძარ სურვილითა შენითა ვერარა სათნოება ვპოვე თავსა შორის ჩემსა, რათამცა ძღვნად შემწირე შენდა და კადნიერება მივიღე მოქენეობად მეოხებისა შენისა და ამისგან უსასო ქმნილმან მოვიძიე სიგლახავისა ჩემისა ძღვენი სახარება მეუფისა ჩვენის ზეცით გარდმოსვლიდან ჩვენისა ხსნისათვის ვიდრე ზეცამდე ამაღლებისა...

ზ. ჩხიკვაძე.

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. „დროება“ 1884 წ. ოქტომბრის ნომერი.

„საქართველოს“ კორესპონდენტს ბ. დამსწრეს.

გაზ. „საქ.“ 10 თებერვლის ნომერში „კახეთიას“ თელავის კრების გამო ბ. დამსწრეს ანგარიშია დაბეჭდილი. ჩვენ არ შევეხებით წერილს, მხოლოდ დასკვნის უსაფუძვლობა უნდა ნათელვყოთ. წერილი, დაწერილი მუშა-მოსამსახურეთა მხრივ, ბ. გაბაშვილის საპასუხოდ, სინამ დაიბეჭდებოდა კანტორის მოსამსახურეებმა წავიკითხეთ და ალაგ-ალაგ შევიტანეთ ზოგიერთი შესწორება. ვცდილობდით, წერილს პირადი ხასიათი არა ჰქონოდა, დავნიშნეთ რამდენიმე ადგილი და გადავეცით ე. ავალიშვილს, რომელსაც უნდა წაეღო წერილი დასაბეჭდათ, თანაც ვთხოვეთ სიტყვიერათ, რომ ყურადღება მიექცია ჩვენი შესწორებისათვის, რომ რაც შეიძლება ნაკლები ყოფილიყო პირადული ელემენტი. ამაზე ყველანი შევთანხმდით. მაგრამ დაიბეჭდა წერილი და ზოგიერთა ადგილმა მაინც გამოიწვია ჩვენი უსიამოვნება, თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ ამაში ჩვენვე ვიყავით დამნაშავე, რადგანაც ყველა ის ადგილები, რაც წინასწარ წაკითხვის დროს მივიჩნიეთ გამოსატოვებლად, არ ალგვინიშია და ამით ჩვენი ამხანაგების წერილს სრული რედაქცია არ გაგვიკეთებია.

გულწრფელად ვაღიარეთ ესა და საგანგებო კრებას, 4 თებერვალს, ჩვენი დელეგატების ხელით გაუგზავნეთ განცხადება, რომელიც შევიმუშავეთ კანტორის რამდენიმე მოსამსახურეთ დხ რომელშიაც ვამბობდით, რომ შეცდომათ მიგვაჩნია პირადული ხასიათი წერილისა და საერთოდ კილო ამ პირადობით გამოწვეული.

განცხადებაში უარვყოფდით წერილის მხოლოდ ერთ თვისებას და კილოს ამ თვისებიდან გამომდინარეს. და რათა ჰგონია ბ. დამსწრეს რომ ს. დადიანი და ე. ავალიშვილი ბეჭდავდნენ და ლაპარაკობდნენ ისეთ ცნობებს და სიტყვებს რომელთაც მოსამსახურენი არ იზიარებდნენ? ჩვენ განცხადებაში მოვიყვანეთ მოკლედ ისტორია მუშა-მოსამსახურეთა წერილისა, რომ ნათლად დაგვენახვებია საზოგადოებისთვის, რამ გამოიწვია ჩვენი განცხადება საგანგებო კრებაზედ გაგზავნილი, და რომ ბ. დამსწრეს დასკვნა მომეტებულად ამ განცხადებაზედ დამყარებული, მოკლებულია საფუძველს. ბ. დამსწრეს კიდევ უნდა განუმარტოთ შემდეგი: ურთიერთი განწყობილება გამგეობასა და მუშა-მოსამსახურეთა შორის გამწვავდა და დაირღვა არა რამდენიმე პირის წყალობით, არამედ საერთო საქმის მსვლელობით. კანტორის ყველა მოსამსახურე შეგნებულად ვმოქმედობდით და „ძალ-დატანებას“ ან „წაქეზებას“ ადგილი არა ჰქონია ჩვენში, ან რა საჭირო იყო ვისიმეს წაქეზება ან ძალდატანება, როდესაც თვით საქმის ვითარება საკმარისი იყო რომ საკითხი გამწვავებულიყო.

ჩვენ ცილისწამებად მიგვაჩნია ბ. დამსწრეს სიტყვები, რომლითაც ის ე. ავალიშვილს და ს. დადიანს წამქეზებელთ და ძალდამტანებელთ უწოდებს.

საზ. „კახეთის“ ხუთ მოსამსახურეთა მონდობილობით **ნინო ლომოური.**

რუსეთის ამბები

— სენატმა უყურადღებოდ დასტოვა ცნობილ ხრუსტალიოვ-ნოსარის საკასაციო საჩივარი. მას სამი წლის კატორღა ჰქონდა მისჯილი.

— გაზეთების ცნობით სათათბიროს სხდომის მეორე დღესაც უფერულად ჩაუვლია. კულუარებშიაც უსიცოცხლეობაა, თუმცა მილიუკოვის სიტყვამ შთაბეჭდილება მოახდინა. კერენსკის სიტყვამაც ვერ გამოიწვია აღფრთოვანება. ყველანი კითხულობენ—რა ვქნათ, როგორ მოუაროთ საქმესაო, მაგრამ პასუხს ვერაფერს პოულობენ.

— რიტეჩის, პროტოპოპოვის და უწყებათა წარმომადგენელთ, მონაწილეობით ირჩევა საკითხი, თუ როგორ აიძულონ ხალხი სავალდებულო მუშაობისათვის.

— პეტროგრადის საფონდო ბირჟაზე ფული მოაგროვეს გაჭირვებულ სტუდენტთა სასარგებლოდ. სულ მოგროვილია ას ორმოც და ათი ათასი მანეთი.

— ლეონიდ ანდრეევმა თავი დაანება ჟურნალ „სოვრემენნი მირის“ თანამშრომლობას მას შემდეგ, რაც „რუსკაია ვოლიაში“ იწყო მუშაობა.

„რუსკაია ვოლიას“ ცნობით, ამა წლის პიუველ თებერვლამდე ქაღალდის ფული გამოცემული ყოფილა ცხრა მილიარდ ნახევარი მანეთისა.

შემოწირულება

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ეს მცირედი შეწირულება ოცი მანეთი გადასცეთ გორის მაზრის სოფ. ხოვლის სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ ჩემი ძვირფასი დედის გარდაცვალების ორი წლის თავის აღსანიშნავად.

სამშობლოდან შორს მყოფი პორუჩიკი **გრიგოლ ივანეს ძე ედიშერაშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ჯორჯაძე.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

ტფილისიდან გადის:

			ს. წ.
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03 დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33 საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 19,	3.19 დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13 დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54 დღ.
„	საფ.	№ 4,	9,28 საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	11.13 საღ.
თელავისაკენ		№ 4,	9 დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 5,	9.10 დილ.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10	9.52 დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38 საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43 დილ.
ბაქოდან	საფ.	№ 8,	10.08 დილ.
	სამგზ.	№ 7,	4.12 საღ.
	ჩქარ.	№ 5,	8.48 საღ.
გორიდან	სამგზ.	. . .	6.34 საღ.
თელავიდან	. .	№ 3,	6.24 „

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დილით:
11—12 ს. „606“ და „914“

ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის ავადმყ.).

ბ. გ. აგახაროვი: 9½ 2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

მ. მ. ხუნიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

საღამოთი:

ა. ნ. [illegible]: 6—7 ს. [illegible] ავადმყ. და ქირურგიული.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ი. ა. ნავასარდიანი.
1057

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეზველოვები
პუშკინის ქ., საკუთ. სახლი № 9, ტელეფ. № 712.

ყოველ დღე მოგვდის ახალი ქვირითის ხიზილალა, სრულებით ცოტა მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შემაიბი. მუდმივ გვაქვს ცოცხალი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. ხანგრძლივ ინახება.
1035

უპირველესი, რადიკალური და სწრაფი
მასთან იაფი საშუალებ
სიფილისს, სახსრების ავადმყოფობას, სახსრებისა და კუნთების ქრონიკულ რევმატიზმის, ნეკრესის ქარების, საერთო გადამდებ ავადმყოფობას, ლითონებით მოწამლულს, თვალის ავადმყოფობას, სიფილისის წყლულებს, წითელას, ხერხემლის გამოფიტვას, დამბლას და სხვას სარქაროდ კურნავს საქვეყნოდ ცნობილი შვეიცარიული საქიმო საშუალება პროფესორ როშის
იოდასტარინი
ნუ შეგვცვლებათ სხვა პატენტოვან საშუალებებში. პროფესორ როშეს პრეპარატი წმინდა საექიმო საშუალებაა, გასინჯულია საუკეთესო ევროპიულ კლინიკებში და სანატორიებში კურსების ფასი 32 მანეთი ½ 16 მანეთი ¼ 8 მანეთი ყოველი მილი 50 მანეთი ღირს. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთი მანეთის ბეის მიღების შემდეგ. ვისაც რაიმე მოლაპარაკება და პრეპარატის შეკვეთა გსურთ, მიმართეთ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიას.

ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 16—1—4. სახელმწიფო ბანკის ახლოს.

Тифлисское Отдѣленіе Парижской Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская № 16, отд. 1—4. противъ Государственнаго банка.

სუსუნატით (ჭოჭონოვა)
ავადმყოფებს
რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდ-ძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძინენ ცნობილ საშუალებას „ურიტალს“, რომელიც სულ ცოტახანში არჩენს გაარჯულებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე ბუშტისას, პამებისას და სხვ.
რატომ
ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება
იმიტომ რომ
ჯერ ერთი დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.
მეორედ იმიტომ, რომ მართლაც ძნელი ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა,
მაგრამ ყველა ავადმყოფებს, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს საშუალება „ურიტალი“. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა რომ
ურიტალი
ნამდვილად არჩენს სუსუნატს. თითო ფლაკონი ღირს 3 მან. 50 კაპ. მთელათ მოსარჩენათ ახალი ავადმყოფობისათვის სჭირდება ექვსი ფლაკონი დაძველებულ ათი ფლაკონი. სხვა ქვეყნებში გაიგზავნება 5 მანეთის (ხუთი) ბეის მიღების შემდეგ.
შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის ტფილისის განყოფილებაში. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16, ნაწ. 1—1. სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.
За заказами и справками обратиться въ Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская № 16 отд—1—1. на противъ Государственнаго Банка.